F 133
1937

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. ნოემბრის 25. № 18 თბილისი

F/1951
2058

შ ი ნ ა ა რ ს ი

სამოქალაქო სამართალი

129. სათამასუქო დებულების გაუქმების შესახებ.

130. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხლების დანართის „კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის“ მე-4 მუხლის მე-2 შენიშვნის შეცვლის შესახებ.

კავშირგაბმულობა

131. რადიო-მოყვარულთათვის სარემონტო სახელოსნოს ორგანიზაციის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

132. ჩამდინარე წყლების გადასახადის შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

133. სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დებულების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

კ რ ე დ ი ტ ი

134. სასოფლო-სამეურნეო ბანკის თბილისის განყოფილების სასოფლო-სამეურნეო ბანკის რაიონულ განყოფილებად გადაკეთების შესახებ.

შ რ ო მ ა

135. „მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების სამუშაო ხელფასის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

ქორწინება, ოჯახი, მეურვეობა

136. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 47^1 მუხლის შეცვლის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

137. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსისათვის 335^1 მუხლის დამატებისა და 335 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის და 336^5 მუხლის ამოშლის შესახებ.

138. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 336^1 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო სამართალი

129. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სათამასუქო დებულების გაუქმების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 7 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად „შეპირებულ და მარტივ სათამასუქო დებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 52, მუხ. 221) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 2 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული „[illegible]ულება თამასუქისათვის“ ქვემომდევნო ცვლილებებით:

(საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. № 6, მუხ. 28; 1926 წ. № 3, მუხ. 66; 1928 წ. № 1, მუხ. 3; 1928 წ. № 12, მუხ. 186; 1929 წ. № 6, მუხ. 45; 1929 წ. № 16, მუხ. 176; 1929 წ. № 22, მუხ. 262; 1930 წ. № 10 მუხ. 119; 1931 წ. № 15, მუხ. 180, კარი. 11, პ. 1; კან. კრ. 1932 წ. № 4, მუხ. 38).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ნოემბრის 23. № 227/1114.
თბილისი.

---

130. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხლების დანართის „კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის“ მე-4 მუხლის მე-2 შენიშვნის შეცვლის შესახებ“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის დებულების მე-4 მუხლის მე-2 შენიშვნა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხლების დანართი) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა: ანაზღაურება ხდება იმ უწყების სათანადო ორგანოს მიერ მესაკუთრის მფლობელობიდან ქონების ჩამორთმევამდე, რომლის საჭიროებისათვისაც რეკვიზიცია მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოსართმევი ქონების მფლობელის თანხმობით შეიძლება ფულადი ანაზღაურების შეცვლა ნატურალურით. ისეთი შენობის რეკვიზიციის დროს, რომელიც დანგრეული უნდა იქნას ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ან სხვა მიზეზით, ფულადი საზღაური შეიძლება შეიცვალოს მფლობელის თანხმობის გარეშე იმავე დასახლებულ პუნქტში მისთვის თანაბარი ღირებულების სხვა სახლის მიცემით, რომლის თავისუფალი საცხოვრებელი ფართობი არ უნდა იყოს იმის ნაკლები, რომელიც მფლობელს ქონდა რეკვიზირებულ სახლში.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ნოემბრის 23. № 225/1112.
თბილისი.

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲐ

131. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ Ს.Კ.Ს.

რადიო-მოყვარულთათვის სარემონტო სახელოსნოს ორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რადიო-მსმენელთა კულტ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების უკეთ მომსახურეობისა და მშრომელთა მასებში რადიოს დანერგვის მიზნით, ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ რადიოფიკაციისა და რადიოგადაცემის კომიტეტს გახსნას ტექნიკურ კაბინეტთან საქართველოს სსრ-ში რადიომოყვარულთათვის სარემონტო და რადიოაპარატურის დანადგართა სახელოსნო სახელწოდებით: „საქრადიორემონტი".

2. დაევალოს „საქრადიორემონტს" მოაწყოს პერიოდული გასვლა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და სხვ. დანადგართა აღდგენის, რემონტისა და ახალ მიმღებთა „ბი" 234 და სხვ. დასადგამად.

3. მიენიჭოს „საქრადიორემონტს" იურიდიული პირის უფლება.

4. დაევალოს საქრადიოკომიტეტს ამ დადგენილების საფუძველზე დაამტკიცოს დებულება „საქრადიორემონტის" შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. ნოემბრის 22. № 1388.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

132. დადგენილება ს.კ.ს.

ჩამდინარე წყლების გადასახადის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 7 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად „საწარმოებისაგან სადენი გაუწმენდელი ჩამდინარე წყლების გადასახადის გადახდევინების შესახებ „(სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 53, მუხ. 222), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს ჩამდინარე წყლების გადასახადი ყველა საწარმოსაგან (სამრეწველო, კომუნალური და სხვ.), რომლებიც გაუწმენდელ ჩამდინარე წყლებს უშვებენ ბუნებრივ და ხელოვნურ ღია წყალსაცავებში.

2. დაწესდეს ჩამდინარე წყლების გადასახადის შემდეგი ზღვარული სატარიფო განაკვეთები მათი გაბინძურების მიხედვით:

ჩამდინარე	წყლების	1	ჯგუფი	არაუმეტეს	10	კაპ.	წყლის	კუბ.	მეტრში.
„	„	2	„	„	9	„	„	„	„
„	„	3	„	„	8	„	„	„	„
„	„	4	„	„	7	„	„	„	„
„	„	5	„	„	6	„	„	„	„
„	„	6	„	„	5	„	„	„	„
„	„	7	„	„	4	„	„	„	„

3. გადასახადი არ გადახდება მაცივრების, საკონდესაციო, შახტებისა და სადრენაჟო წყლების, აგრეთვე თვით იმ საწარმოების კუთვნილ საწმენდ ნაგებობებზე გაწმენდილი ჩამდინარე წყლებისათვის, რომლებიც ჩამდინარე წყლებს უშვებენ დასაშვებ სანიტარულ ნორმამდე. ის საწარმოები, რომლებიც ჩამდინარე წყლებს უშვებენ კომუნალურ საკანალიზაციო ქსელში და გადასახადს საკანალიზაციო ტარიფით იხდიან, განთავისუფლებიდან ამ დადგენილებით დაწესებული ფასის გადახდისაგან.

4. საწარმოთა მიერ ჩამდინარე წყლების გადასახადის გადახდის წესსა და ვადებს, აგრეთვე ამ გადასახადის განაკვეთებს, მაგრამ არა უმეტეს ამ დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული ზღვარული სატარიფო განაკვეთებისა, აწესებენ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო ან სასოფლო საბჭოები ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა დაწესებასთან ერთად.

5. რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს შეუძლიათ საკუთარი გაანთავისუფლონ ცალკეული საწარმოები ჩამდინარე წყლების გადასახადის გადახდისაგან ან შეამცირონ ეს გადასახადი დაწესებულ განაკვეთებთან შედარებით.

6. ჩამდინარე წყლების გადასახადის გამოანგარიშებას და გადახდევინებას აწარმოებენ სათანადო კომუნალური განყოფილებანი, ხოლო იმ საბჭოებში, სადაც კომუნალური განყოფილება არ არის, უშუალოდ საბჭოები.

7. ჩამდინარე წყლების გაბინძურების ხარისხს, ამ დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, გამოარკვევს სახელმწიფო სანიტარული ინსპექცია.

8. საწარმოები, რომლებიც ჩამდინარე წყლებს უშვებენ, ვალდებულნი არიან რაიაღმასკომების, საქალაქო და სასოფლო საბჭოების მიერ დაწესებულ ვადებში წარუდგინონ კომუნალური მეურნეობის ორგანოებს ცნობები იმ წყლების რაოდენობის შესახებ, რომლებსაც ისინი უშვებენ, და სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ნარკვევები, თუ რამდენად გაბინძურებულია ჩამდინარე წყლები.

კომუნალური მეურნეობის ორგანოებს უფლება აქვთ შეამოწმონ ადგილზე საწარმოთა ცნობები იმ სადენი წყლების რაოდენობის შესახებ, რომლებსაც ისინი უშვებენ.

9. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოებმა დადგენილ ვადებში არ წარმოადგინეს ცნობები ჩამდინარე წყლების რაოდენობის შესახებ და სახელმწიფო-სანიტარული ინსპექციის ნარკვევები წყლების გაბინძურების ხარისხის შესახებ, კომუნალური მეურნეობის ორგანოები, ჩამდინარე წყლების გადასახადს გამოიანგარიშებენ თავიანთი ცნობების და ადგილობრივი აღმასკომების ან საბჭოების მიერ დაწესებული უმაღლესი განაკვეთის მიხედვით.

10. ჩამდინარე წყლების გადასახადი და ის ხარჯები, რომლებიც ამ გადასახადის შემოსვლის ანგარიშში იქნება გაწეული, გატარდება სათანადო ადგილობრივი ბიუჯეტით. ჩამდინარე წყლების გადასახადის თანხები დაერიცხება სათანადო ადგილობრივი ბიუჯეტის განსაკუთრებულ საბიუჯეტო ანგარიშებს ბანკში და დაიხარჯება მხოლოდ და მხოლოდ ამ დადგენილების მე-II მუხლში აღნიშნული ღონისძიებებისათვის.

11. ჩამდინარე წყლების შემოსული გადასახადი იხარჯება გაბინძურებული წყლების გაწმენდის, ჩამდინარე წყლებით გაბინძურებული ადგილის გაწმენდის ღონისძიებებზე, მაგალითად: სალექების, სანაგვე ორმოების, ბიოლოგიური დანადგარების, ფილტრაციის მინდვრების, სარწყავი მინდვრების, დრენაჟების, კოლექტორების მოწყობა და გაბინძურებული წყლების და ჩამდინარე წყლებით გაბინძურებული ადგილების გაწმენდის სხვა ჰიდროტექნიკურ და მელიორატიულ ღონისძიებებზე, აგრეთვე ძელური და ნაბურღი ჭების მოსაწყობად.

ჩამდინარე წყლების გადასახადისაგან შემოსული სახსრების ნაშთი, რომელიც გამოუყენებელია მიმდინარე წელს, გადადის შემდეგი წლისათვის იმავე ღონისძიებებზე დასახარჯავად.

12. ჩამდინარე წყლების გადასახადის გადახდევინება მოხდება „საგადასახადო და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულებით" (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 69, მუხ. 410) დადგენილი წესით.

13. დაევალოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, არაუგვიანეს ა. წ. 15 დეკემბრისა, საქართველოს სსრ ფინსახკომთან შეთანხმებით გამოსცეს ინსტრუქცია ჩამდინარე წყლების გადასახადის გამოანგარიშების, აღრიცხვისა და გადახდევინების შესახებ.

დაევალოს ჯანსახკომს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან ერთად, არაუგვიანეს ა. წ. 15 დეკემბრისა, დაადგინოს იმ წესების საფუძველზე, რომელსაც სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი გამოსცემს, თანახმად სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 მაისის დადგენილების მე-13 მუხლისა „წყალსადენებისა და წყლის მიწოდების წყაროების სანიტარული დაცვის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 35, მუხ. 143), ჩამდინარე წყლების მდგომარეობის სანიტარული ნორმები ამ დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ ჯგუფებად განაწილებით, როგორც ჩამდინარე წყლების გადასახადის ტარიფის ოდენობის გამოსარკვევად, ისე ამ გადასახადისაგან სავსებით გასანთავისუფლებლად.

14. საჩივრები იმ ორგანოების მოქმედებაზე, რომლებიც ჩამდინარე წყლების გამოანგარიშებას და გადახდევინებას აწარმოებენ, შეიტანება სათანადო რაიალმასკომებში, საქალაქო და სასოფლო საბჭოებში.

საჩივრები რაიალმასკომებისა და საბჭოების გადაწყვეტილებებზე შეიტანება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ავტონომიურ ოლქში—ასს რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებში.

15. ეს დადგენილება ძალაში შედის 1938 წლის 1 იანვრიდან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. ნოემბრის 22. № 1360.

თბილისი.

ფინანსები

133. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დებულების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 28 ივნისის და 1937 წლის 27 აგვისტოს დადგენილებების შესაბამისად „სასოფლო სკოლების მასწავლებელთა ხელფასის ხარჯების რაიონულ ბიუჯეტებზე გადაცემასთან დაკავშირებით ამ ბიუჯეტთა საშემოსავლო წყაროების გაფართოების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 35 მუხ. 312)

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „კოლმეურნეობათა სახსრებიდან სასოფლო ბიუჯეტში თანხების გადასახ-ხვის თაობაზე დადგენილებათა გაუქმების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 57, მუხ. 241), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დებულების მე-6 მუხლი (საქართველოს სსრ კან. კრ. 1936 წ. № 7, მუხ. 49) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„6 სასოფლო საბჭოებისათვის დაკისრებული ხარჯების დასაფარავად მიეკუთვნოს თვითეულ სასოფლო საბჭოს ბიუჯეტს შემდეგი საშემოსავლო წყაროები:

ა) სასოფლო საბჭოების გამგებლობაში მყოფი ქონებისა და წამოწყებათა არა საგადასახადო შემოსავალი;

ბ) ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები, რაც გადაიხდევინება სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე;

გ) ერთიანი სახელმწიფო ბაჟი, რაც გადაიხდევინება სასოფლო საბჭოში;

დ) სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე გადახდევინებული სახელმწიფო გადასახადები: საკოლმეურნეო ვაჭრობის ბრუნვის გადასახადი, სარეწაო გადასახადი, არასასაქონლო ოპერაციების გადასახადი, იმ ქონების გადასახადი, რომელიც მემკვიდრეობის და გაჩუქების წესით გადადის, სათევზაო გამოსაღები და თევზის სარეწაო ჭერის უფლების საბილეთო გამოსაღები;

ე) შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წლის 11 ივნისის დადგენილების საფუძველზე დაწესებული ანარიცხი ხე-ტყის დამზადების დროს ტყეებიდან გატანილი მერქნისათვის გამოზიდული მერქნის მკვრივ კუბომეტრზე 10 კაპიკის რაოდენობით;

ვ) სახსრები, რომლებსაც სასოფლო ბიუჯეტს გადასცემენ სამეურნეო ორგანოები განსაკუთრებული კანონების საფუძველზე;

ზ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხი არანაკლებ 10%;

თ) კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის რეალიზებულ სახელმწიფო მასობრივ სესხთა ანარიცხები არანაკლებ 25% და არაუმეტეს 50% თვითეულ სასოფლო საბჭოზე;

ი) მუშათა, მოსამსახურეთა და დანარჩენი არასამიწადმოქმედო მოსახლეობის შორის რეალიზებულ სახელმწიფო მასობრივ სესხთა ანარიცხები 10% რაოდენობით;

კ) იმ მოსახლეობიდან, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა, საბინაო და კულტურული მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების ანარიცხები არა ნაკლებ 30%;

ლ) მუშებისა, მოსამსახურეებისა და დანარჩენი არასამიწათმოქმედო მოსახლეობისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის გამოსაღების ანარიცხები არანაკლებ 25%;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ) კერძო პირთა საშემოსავლო გადასახადის ანარიცხები არანაკლებ 20%;

ნ) სასოფლო სამომხმარებლო და სასოფლო სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა და ორგანიზაციათა საშემოსავლო გადასახადის ანარიცხები არანაკლებ 25%;

ო) ბრუნვის იმ გადასახადის ანარიცხები, რომელსაც ახდევინებენ სასოფლო სამომხმარებლო კოოპერაციას დეცენტრალიზებული დამზადებისათვის და საწარმოებს—სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავებისათვის—არანაკლებ 75%.

ამ მუხლის ზ, თ, კ, ლ, მ, ნ, ო პუნქტებში აღნიშნულ ანარიცხების ზუსტ რაოდენობას ყოველწლიურად აწესებენ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები და ამტკიცებენ საბიუჯეტო წლის სამი თვით ადრე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ნოემბრის 23. № 228/1115.
თბილისი.

კ რ ე დ ი ტ ი

134. დადგენილება ს. კ. ს.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის თბილისის განყოფილების სასოფლო-სამეურნეო ბანკის რაიონულ განყოფილებად გადაკეთების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კონტორის მმართველის წინადადება, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკის თბილისის განყოფილება გადაკეთებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო ბანკის თბილისის რაიონულ განყოფილებად, რომელსაც დაეკისროს თბილისის (სასოფლო) რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მომსახურება.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჰელიძე.**

1937 წ. ნოემბრის 22. № 1352.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲠᲝᲛᲐ

135. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ს. კ. ს.

„მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების სამუშაო ხელფასის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის წესის თაობაზე“ გამოცემულ დადგენილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 1 ივლისის დადგენილება „მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების საშუშაო ხელფასის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან.კრ. № 13 მუხ. 94.) რომელიც უფლებას ანიჭებს საქართველოს სსრ სახალხო კომისრებს და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დააწესონ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებისათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთები.

დაწესდეს, რომ პერსონალური განაკვეთები შეიძლება დაინიშნოს გამონაკლის შემთხვევებში, მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. ნოემბრის 22. № 1377.
თბილისი.

ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ, ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲛᲔᲣᲠᲕᲔᲝᲑᲐ

136. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ Ц.А.К. ᲓᲐ ს.კ.ს.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 47[1] მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 47[1] მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 31, მუხ. 193) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„47[1]. მრავალშვილიან დედებს უფლება აქვთ მიიღონ სახელმწიფოებრივი დახმარება: რომლებსაც ექვს შვილზე მეტი ჰყავთ—ექვსის ზევით დაბადებულ ყოველ შემდგომ ბავშვზე მეათე ბავშვამდე 2.000 მანეთის რაოდენობით ყოველ-

წლიურად ხუთი წლის განმავლობაში დღიდან ბავშვის დაბადებისა, ხოლო ვისაც ათზე მეტი შვილი ჰყავს—ათის გარდა თვითეულ შემდგომ დაბადებულ ბავშვზე: დაბადების დროს ერთდროულად 5.000 მანეთის რაოდენობით და მეორე წლიდან ყოველწლიურად 3.000 მანეთის რაოდენობით ოთხი წლის განმავლობაში.

განცხადება სახელმწიფოებრივი დახმარების დანიშვნის შესახებ შეიტანება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სარაიონო და საქალაქო (დამოუკიდებელ საადმინისტრაციო ერთეულად გამოყოფილ ქალაქებში) ორგანოში.

სახელმწიფოებრივი დახმარება დაინიშნება რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების და საქალაქო საბჭოების დადგენილებებით, რომლებსაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები, კუთვნილებისამებრ.

დახმარების მიცემის შესახებ განცხადების შეტანის და დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი განსაზღვრულია სსრ კავშირის ჯანსახკომის ინსტრუქციით „მრავალშვილიან დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის და მიცემის წესის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 22 მაისის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 35, გვ. 145).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ვ. ბუჯიაშვილი.

1937 წ. ნოემბრის 23. № 226/1113.
თბილისი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

137. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსისათვის 335^1 მუხლის დამატებისა და 336 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის და 336^5 მუხლის ამოშლის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 7 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად „სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებებისაგან-სახელმწიფო და კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცემული სააღსრულებო დოკუმენტებით და ხელფასის გადახდევინების წესის შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 51, მუხ. 218), საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაემატოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსს (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 19, მუხ. 205) მუხლი 335[1] შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 335[1]. სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებებისაგან, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მიცემულ სააღსრულებო ფურცლებით და სხვ. სააღსრულებო დოკუმენტებით გადახდევინება, აგრეთვე ხელფასის გადახდევინება მოხდება ამ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვების ასიგნობათა ანგარიშზე. ამ შემთხვევებში სააღსრულებო დოკუმენტები გაუთანაბრდებიან ხარჯთაღრიცხვით ასიგნებული თანხების ხარჯვის საგადასახადო დოკუმენტებს და გაეგზავნება სახელმწიფო ბანკის სათანადო დაწესებულებას სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის, მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ან კუთვნილებისამებრ—ადგილობრივი საფინანსო ორგანოს მეშვეობით (იმის მიხედვით, თუ რომელ ბიუჯეტზე იმყოფება მოპასუხე დაწესებულება), რათა უჩვენონ მათ ხარჯთაღრიცხვის საბიუჯეტო ქვეგანყოფილება, რომლის ხარჯზედაც უნდა მოხდეს გადახდევინება სააღსრულებო დოკუმენტით.

გადახდევინებათა ამ მუხლით დადგენილი წესი არ ვრცელდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სპეციალურ და სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრებზე. საბიუჯეტო დაწესებულებებისაგან ამ სახსრების ანგარიშში გადახდევინება ხდება საერთო წესით".

2. ამოშლილ იქნას საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 335 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 19, მუხ. 218), აგრეთვე საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხ. 336[5] (სრულიად საქართველოს ცაკის ოქმი 1937 წ. № 48 მუხ. 6).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ნოემბრის 23. № 223/1110.
თბილისი.

37317
ეროვნული ბიბლიოთეკა

138. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 336[4] მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 7 მაისის დადგენილების შესაბამისად „განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების საბანკო ანგარიშებზე ისეთი სააღსრულებო დოკუმენტებით გადახდევინების მიქცევის აკრძალვის შესახებ, რომელთა თანხა 500 მანეთს არ აღემატება“ (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 25 მუხ. 197), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაემატოს საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 336[4] მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 36) შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„**შენიშვნა:** გადახდევინება ისეთი თანხის რაოდენობით, რომელიც 500 მანეთს არ აღემატება, შეიძლება მიქცეულ იქნას მოვალის საბანკო ანგარიშებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის სხვა ქონებაზე გადახდევინების მიქცევის დროს ის ორგანო, რომელიც გადაწყვეტილებას ასრულებს, გამოარკვევს, რომ მოვალეს არა აქვს რაიმე სხვა ქონება, გარდა საბანკო ანგარიშზე არსებული სახსრებისა“.

2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 364[4] მუხლის მე-2 აბზაცი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 36) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ამ შემთხვევებში საკრედიტო დაწესებულებანი არ შეუფარდებენ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 298, 303, 333, 334, 336, მუხლებს“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ნოემბრის 23. № 224/1111.
თბილისი.

ფასი 25 კაპ.

გამოქვეყნებელი საქ. სსრ ხ. კ. ხ-ოს / საქმ. მმართველობა 1937 წ. № 35. 3/მ. რედაქტორი **ი. შელეგია**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 7/XII, ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XII; ტირაჟი 2.000

მთავლიტის რწმ. № ა-635 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკ. № 1481.